

**ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის ანგარიში
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის
გაცემის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ III თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები - სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი- მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი არ ყოფნის შემთხვევაში სასამართლოს მენეჯერი-საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი- პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების ან ელექტრონული მატარებლის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას და ა.შ.

2020 წლის განმავლობაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 12 განცხადება. შემოსულ განაცხადთაგან 7 მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, 4 მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 1 განცხადება განხილვაშია.

საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადებებზე გადაწყვეტილებები მიღებული იქნა სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსის-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ;

საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც დაეყრდნო საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების მიღებისას - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე მოთხოვნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ ყოფილა.

ნინო გელაშვილი

**საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი -
კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები
განყოფილების უფროსი
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**